



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N128**

9 აგვისტო 2019 წ.

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №83 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №83 დადგენილების (www.matsne.gov.ge 26/12/2018 წ; 010250050.35.160.016519) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართი №1-ში – „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) დანართი N1-ის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ. პირებზე, თუ მისი ან მისი ოჯახის ერთი წევრის რეგისტრაციის ხანგრძლივობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არ აღემატება 15 წელს და ოჯახის ყველა წევრი არ არის რეგისტრირებული ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში ბოლო ორი წლის განმავლობაში უწყვეტად (გარდა 2 წლამდე ასაკის ბავშვისა). წყვეტის შემთხვევაში პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული სხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი